საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

№95/573-17

"22" 02 2017 წ.

შპს "Greeny-ს"

როგორც თქვენთვის ცნობილია, "საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2008 წლის 25 ივლისის N421/19 გადაწყვეტილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ახალი სტატისტიური ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 25 მარტის N144/22 გადაწყვეტილების მე-4 პუნქტის და "საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის N144/22 გადაწყვეყილების ნაწილობრივ ძალდაკარგულად ცნობისა და სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2016 წლის 11 თებერვლის N95/19 გადაწყვეტილების მე-4 პუნქტის შესაბამისად, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებულ/ლიცენზიის მფლობელ ყველა პირს და ასევე ყველა მაუწყებელს დაევალათ გადაწყვეტილების დანართი N1-ით განსაზღვრული სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების შევსება და კომისიაში წარმოდგენა ამავე გადაწყვეტილებით დადგენილი პერიოდულობით.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, თქვენ არ წარმოგიდგენიათ 2016 წლის იანვრიდან 2016 წლის დეკემბრის ჩათვლით სტატისტიკური ანგარიშგების ფორმები.

"ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის შესაბამისად, ავტორიზებული პირი ვალდებულია სრულად და მოთხოვნილ ვადაში მიაწოდოს კომისიას ამ კანონითა და კომისიის ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებით მოთხოვნილი ინფორმაცია თავისი საქმიანობის შესახებ. ამავე პუნქტის ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად, ავტორიზებული პირი ვალდებულია შეასრულოს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობა, მათ შორის კომისიის გადაწყვეტილებები.

გთხოვთ, 10 სამუშაო დღის ვადაში შეავსოთ მითითებული სტატისტიკური ანგარიშგების ფორმები.

ამავე დროს, გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის თანახმად, ავტორიზებული პირის მიერ არასწორი ან არასრული ინფორმაციის მიწოდება ითვლება ინფორმაციის მიუწოდებლობად.

შეგახსენებთ, რომ "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 45-ე მუხლის შესაბამისად, ავტორიზებული პირის მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის კომისიის დადგენილებით და გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების დარღვევა წარმოადგენს სანქციების საფუძველს.

დამატებით გაცნობებთ, რომ ინფორმაციის დაზუსტების და კონსულტაციის გაწევის მიზნით, შეგიძლიათ მიმართოთ კომისიის აპარატის ინფორმაციულ-ანალიტიკურ დეპარტამენტს (ტელ: (032) 231 14 12).

პატივისცემით,

კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ აბაშიძე